გოგიამ ისევ საუცხოოდ ითამაშა

გუშინწინ ალმა-ატაში ადგილობრივმა “კაირატმა” თბილისის “დინამოს” უმასპინძლა. ბრძოლა მწვავე და საინტერესო იყო. მე-9 წუთზე მაჩაიძემ მოულოდნელი დარტყმით დაახლოებით 20 მეტრიდან ალმა-ათელთა კარის ზედა კუთხეში მოათავსა ბურთი. 48-ე წუთზე მასპინძლებმა კვლავ ცენტრიდან განაახლეს თამაში: გუცაევის მიწოდება კარგად გამოიყენა ყოფიანმა და ანგარიში გახდა 2:0.

კვლავ გამოიჩინა თავი თბილისელთა მეკარე გოგიამ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

დუბლიორთა მატჩშიც დინამოელებს ხვდათ წარმატება _ 1:0. ბურთი გაიტანა წერეთელმა.

“ლელო”, 9 მაისი, 1972 წ.